



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
26 ოქტომბერი, 2016

2016 წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ სარაევოში გამართულ შეხვედრაზე, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრიალმა ერთხმად მხარი დაუჭირა გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებას. ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის განმავლობაში უნდა მოახდინოს, რის შედეგადაც ქვეყანა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება. გაერთიანების წევრობა საქართველოს გარკვეულ ვალდებულებებს დააკისრებს, რომელთა იმპლემენტაციაც უფრო გამჭვირვალე და კონკურენტულ ელექტროენერგიის ბაზარს და მაღალი ხარისხის მომსახურებას მოგვცემს. ხელშეკრულების ოქმის მიხედვით, რეფორმების გატარებისათვის საქართველოს ვადა 2020 წლამდე ეძლევა. ნაწილი რეფორმების სასისტემო მომსახურების ბაზრის შექმნას მოიაზრებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება იქნება წარმოებისა და განაწილების საქმიანობის განცალკევება, რომელიც უნდა მოხდეს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების აქციონერთა ინტერესების გათვალისწინებით. რეფორმების პროცესში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანახარჯების სათანადოდ ამსახველი ტარიფების არსებობას.

გარდაბნის თბოსადგურს 2017 წლისთვის გარანტირებული სიმძლავრის განახლებული საფასური დაუდგინდება. შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებას რეგულატორი 27 ოქტომბერს დაიწყო და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დაასრულოს. თბოსადგურებისთვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დათვლა სემეკ-ის მიერ 2014 წელს მიღებული განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ხდება - დღიური საფასური სატარიფო წლისთვის გათვალისწინებული კაპიტალური და ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯების ჯამის სასისტემო რეზერვში დგომის დღეების რაოდენობაზე გაყოფით ითვლება. იმას, თუ მაქსიმუმ რამდენი დღე იდგება სადგური რეზერვში ასევე სემეკ-ის დადგენილება განსაზღვრავს ყოველ წელს.

დანიური საკონსულტაციო კომპანია Niras საქართველოს მთავრობას ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის განვითარების საკითხებში კონსულტაციებს უწევს. პროექტის ფარგლებში ხდება ენერგოეფექტურობის მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და განახლებადი ენერგიის რესურსების ქსელზე დაერთების რეგულაციების შემუშავება. პროექტს დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

სექტემბერში შიდა მოხმარება წლიურად 4.3%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები გამანაწილებელი ლიცენზიანტებისა და აფხაზეთის რეგიონის მიერ გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება სექტემბერში 4.5%-ით არის გაზრდილი, დიდწილად თბილისის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე (+16.8% წ/წ). ენერგო-პროს მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა წლიურად 1.3%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი წლიურად 2.0%-ით გაიზარდა. პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წლიურად 12.9%-ით არის შემცირებული 2015 წლის სექტემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-38.1% წ/წ). პირდაპირი მოხმარების შემცირება დიდწილად ჯორჯიან მანგანეზის ხარჯზე მოხდა (-10.8% წ/წ), რომლის მოხმარებაც ასევე 2015 წლის სექტემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან შემცირდა (-45.3% წ/წ). აფხაზეთის რეგიონის მოხმარება სექტემბერში წლიურად 17.3%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის მოხმარება აგვისტოშიც შესამჩნევად, 12.9%-ით, გაიზარდა. ელექტროენერგიის ექსპორტი სექტემბერში უმნიშვნელო იყო, თუმცა განხორციელდა მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით (101.5 გვტ/სთ).

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

სექტემბერში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	4.4 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
სექტემბერში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.9 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
სექტემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
სექტემბერში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	4.9 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 9თ16, კვტ/სთ	3.8%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 9თ16, კვტ/სთ	-9.1%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 9თ16, კვტ/სთ	-21.4%

*საშუალო გაცვლითი კურსი სექტემბერში GEL/US\$ = 2.3113; TRY/US\$ = 2.9601

*სექტემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.1 გვტ/სთ)

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693


თამარ ქურდაძე

ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ზოლო გვერდზე.




გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ/სთ



წყარო: ესკო


გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ/სთ)



წყარო: ესკო


შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2016 წლის სექტემბერში დიდწილად საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიით მოხდა და იმპორტმა ქსელისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 3.0% შეადგინა. შიდა წარმოება წლიურად 2.9%-ით გაიზარდა, აქედან რეგულირებადი ჰეს-ების წარმოება გაიზარდა 28.1%-ით და მთლიანი ჰიდროგენერაციის 88.4% შეადგინა. ენგურის და ვარდნილის გამომუშავება გაზრდილია 34.4%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დერეგულირებადი ჰეს-ების კი 10.2%-ით. თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია შემცირდა 40.6%-ით წინა წლის სექტემბერთან შედარებით, რადგან საკმარისი მოცულობის ჰიდროგენერაცია იყო ქსელში. გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე ხუთივე წყარომ მიაწოდა მთელი თვის განმავლობაში, გარდა ჯი-ფაურისა (11 დღე რეზერვში) და გარდაბნის თბოსადგურისა (26 დღე რეზერვში). გარანტირებული სიმძლავრის საფასური თითქმის გაოთხმაგებულია (3.6x) წინა წლის სექტემბერთან შედარებით და 19.3%-ით არის გაზრდილი წინა თვესთან შედარებით (0.84 აშშ ცენტი კვტ/სთზე). ელექტროენერგიის იმპორტი 2016 წლის სექტემბერში 46.8%-ით შემცირდა. იმპორტირებული ელექტროენერგიის 100% აზერბაიჯანიდან შემოვიდა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

სექტემბერში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში 23.3%-ით შემცირდა და 4.4 აშშ ცენტი შეადგინა კვტ/სთზე. საბაზრო ფასები თურქეთშიც შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (-11.7% წ/წ) და კვტ/სთ-ზე 4.9 აშშ ცენტი შეადგინა, უკვე საკმაოდ დაბალი ბაზიდან 2015 წლის სექტემბერში (-26.8% წ/წ). 2016 წლის სექტემბერში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 11.9% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა.




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი

შენიშვნა: გრაფიკზე არ არის მითითებული საშუალო საექსპორტო ფასი აგვისტოში; საჭიროა დამატებითი მონაცემები.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შუამავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირაკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარდება ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარება ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რამენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მისი წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი--ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikeshvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge